საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

სამოქალაქო
ავიაციის
სააგენტო

Legal Entity of
Public Law

CIVIL
AVIATION
AGENCY

0114, თბილისი, საქართველო
I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114, TBILISI, GEORGIA
Beginning of I Kheivani Street
ტელ / Tel: (+995 32) 2 948 014
(+995 32) 2 948 002
ელ. ფოსტა / e-mail: office@gcaa.ge
ვებ-გვერდი / web page: www.gcaa.ge

N 01/2628
11/12/2020

2628-01-2-202012111655

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ ყოველწლიურ ანგარიშს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პერიოდში (2019 წლის 10 დეკემბრიდან - 2020 წლის 10 დეკემბრამდე) სააგენტოში შემოსულია 21 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქედან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დაფიქსირდა უარის თქმის არცერთი შემთხვევა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ყველა თანამშრომელზე შეგროვებული და დამუშავებულია პერსონალური მონაცემები. იგივე ხორციელდება ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაშიც. ინფორმაცია, თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების მომცველი საინფორმაციო ბაზისა და მასში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ყოველკვარტალურად მიეწოდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შემდგომში საჯარო სამსახურის ბიუროსთვის გადასაცემად.

რაც შეეხება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლისა და „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას, ასეთი შემთხვევა სააგენტოში არ დაფიქსირებულა.

პატივისცემით,

ლევან კარანაძე

დირექტორი

ხელმძღვანელობა